№ 142 ივლისი 7, ოთხშაბათი — 1893 — ივლისი 7, ოთხშაბათი № 142

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, გუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

გამოვიდა და ისყიდება
ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა
№ 6
გურგენ რაინდი
(ლეგენდა)
ცასელისა
ფასი ექვი შაური

დაიბეჭდა და ისყიდება
შინაური საქონელი
და
მისი გონიერი მოვლა-მოშენება.
იგ. როსტომაშვილის მიერ.
გამოცემა
წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებისა.
ფასი ერთი შაური
(5—4)

## წერილი ქუთაისიდგან

(რედაქციის მიმართ)

ქუთათურები ვერ დაიკვეხებენ, რომ მათი არჩევანები, საზოგადოდ, საბანკო იქმნება იგი, საქალაქო თუ სათავად-აზნაურო, ჯეროვანის სიმშვიდით და წესიერებით ხდებოდეს. იშვიათად მომხდარა, რომ საზოგადო კრება, რომელსამე კანდიდატის ასარჩევად შემდგარი, არ გაეტაცნოს პირადობას, არ დაყოფილიყოს დას-დასად, ანუ, როგორც ქუთაისში ამბობენ, პარტიებად და არ მიმხრობოდეს ან ერთს და ან მეორე კანდიდატს იმ ნაირის მოსაზრებით და ხანდახან, ღმერთო შეგცოდე, იმ ანგარიშით, რომელსაც არავითარი ალაგი არ უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეში.

მხოლოდ ერთი ღირსშესანიშნავი დღე გვახსოვს ქუთაისის არჩევანებისა. ეს ის დღე იყო, როცა გუბერნიის წინამძღოლოდ ირჩევდნენ დაუვიწყარს განსვენებულს დ. ყიფიანს. მაშინ-კი ცხადად ეტყობოდა, რომ მთელი კრება გამსჭვალული იყო ერთის მაღალის აზრით და გრძნობით. კრებამ მაშინ და ათასა და მადლობა გადუხადა უანგაროს და ქვეყნისთვის თავდადებულს მხცოვანს მოღვაწეს. მას შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენ არ შევწრებივართ იმ ნაირ არჩევანებს. ნაცვლად ამისა მოწმედ გავხდით, ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მაინც, იმ ნაირის უწესო და ურიგო არჩევანებისა სათავად-აზნაურო ბანკში, რომელნიც გულს უკლავენ ყოველს კეთილ-გონიერს ადამიანს და თითქმის იმედს სპობენ, რომ რაიმე კარგი მომავალი იქმნას ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენ მოგახსენებთ ბ-ნ ჩიკვაიძის ბანკის მმართველად არჩევაზე. ამ სამი წლის განმავლობაში ბ-ნს ჩიკვაიძეს მეხუთედ უყრიან კენჭს (!!!) და მერე რა ამბით! შეჯახება, პარტიების უკიდურესად გამწვავება, და ბოლოს ამბოხება; მამა ძმას და მამა შვილს გადაჰკიდებია, ნათესავი ნათესავს და მაზრა მაზრას. ორჯელ კრება დაშლილ იქმნა ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან ამბოხებისათვის!..

ვინ, ან რა არის ამის მიზეზი, ამის გამოკვლევას ეხლა არ შევუდგებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ ამ ნაირი არჩევანები დიდად მავნებელია ქვეყნისათვის. ყოველი კაცი, ვისაც გული შესტკივა ჩვენის ისედაც დაცემულის ქვეყნისათვის, მოვალეა, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ როგორმე ბოლო მოეღოს ამ ნაირ სამწუხარო მოვლენას. ყოველი კეთილ-გონიერი კაცი გრძნობს, რომ, საზოგადოება, რომელიც ეხლა ორ ბანაკად არის გაყოფილი და სასტიკ ბრძოლისათვის გამზადებული, დაღალულია ამდენ დავიდარაბით. საერთო სურვილია, რომ, რაც შეიძლება მალე, მოეღოს ბოლო ამ უსიამოვნებას.

მკითხველთ უკვე უწყიან, რომ ნათესავთა და ნაცნობთა დიდის თხოვნის შემდეგ თავ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე დასთანხმდა კენჭი იყაროს ქუთაისის ბანკის თავმჯდომარეს ადგილზე. თუ მართლა ამოურჩეულ იქმნა იგი ზემოხსენებულ თანამდებობაზედ, რისაც სრული იმედი გვაქვს, რადგანაც თ. კირილე ბეჟანის ძეს ორივე ბანაკი ერთგვარადა სცემს პატივს, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ქუთაისის ბანკის საქმეებს მშვიდობიანობა ეღირსება.

თ. კ. ლორთქიფანიძე ეკუთვნის ჩვენ მოღვაწეთა იმ მოწინავე გუნდს, რომელიც აღიზარდა რუსეთის სამოც წლების ბრწყინვალე დროის იდეალებზედ. ამ გუნდმა შეისისხლ-ხორცა იმ დროის საუკეთესო აზრები და გრძნობები და შემდეგ მედგრად მიჰყო ხელი ჩვენ მიძინებულ ქვეყნის ფეხზე წამოყენებას.

თ. ლორთქიფანიძე დიდ ხანს დარჩა პეტერბურგში, საცა სწავლობდა მას შემდეგაც, როცა მისი ამხანაგები დაბრუნდნენ სამშობლოში. იგი ხელს უწყობდა და გზას უჩვენებდა იქ ახალ მისულ ჩვენს ახალგაზდობას. ჯერ კიდევ პეტერბურგშივე გამოსცა ჩვენი საუკეთესო მწერლების ლექსთა კონა „ჩონგური“, რომელიც დიდის სიამოვნებით მიიღო ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ. „ჩონგურში“ დაბეჭდილი ზოგიერთი რუსულიდამ ნათარგმნი ლექსები ეკუთვნის თვით თავ. ლორთქიფანიძეს.

როცა ტფილისში დაბრუნდა, მიიღო მონაწილეობა ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეებში. ჯერ თთვიურის ქართულ გამოცემის „კრებულის“ რედაქტორად იყო, მერე ცოტა ხნით „დროების“ რედაქტორად და შემდეგ ქუთაისში დიდ მონაწილეობას იღებდა „შრომის“ რედაქტორობაში. და ახლაც ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეში მხურვალე მონაწილეობას იღებს; ბანკის ზედამხედველ კომიტეტში ერთ დროს წევრად იყო, თუმცა შემდეგ წევრობას თავის ნებით დაანება თავი. ქალაქის საბჭოში რამდენჯერმე ხმოსნად იყო არჩეული; სააზნაურო სკოლის კომიტეტში დაარსებიდამ წევრად ითვლება და დიდ მზრუნველობას უჩენს ამ სკოლას. აქაურ საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებაში დაარსებიდამ დღემდე მართველობის წევრად არის, სადაც ყოველ არჩევანზედ ერთხმად ირჩევენ. საზოგადოებაში მას აქვს მოხვეჭილი სახელი უანგარო და შრომის მოყვარეობის კაცისა და ბანკის საქმის მცოდნესი.

მგონი, მეტი არ იქნება აქ მოვიხსენიოთ ერთი თვისება თავ. კ. ლორთქიფანიძისა. მას არ უყვარს საზოგადო საქმეში გამოჩენილის ადგილის დაჭერა, იგი მეტს სიამოვნებას გრძნობს, საცა მას მოეთხოვება მეტი შრომა და გარჯა. ამას წინად, მაგალითებრ, როცა ქუთაისის საურთიერთო ბანკში მართველის ალაგი დაიცალა, საზოგადოებამ მრავალ გზის სთხოვა მას ეს ადგილი დაეჭირა, მაგრამ არ დასთანხმდა.

# ახალი ამბავი

*** 5 ივლისს, საღამოთი, კრება ჰქონონდა ტფილისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტს. განხილულ იქმნა მოხსენება საზოგადოების მმართველობისა, რომელშიაც გამოანგარიშებულია, რამდენი ზარალი მოუვიდა საზოგადოებას ქალაქის სახლში ცეცხლის გაჩენის გამო. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ქალაქის სახლის შეკეთებას დასჭირდება სულ 7,500 მანათი. ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა გადადებულ იქმნას ეს 7,500 მანათი და სახლის შეკეთება მიენდოს თვით მმართველობას საზოგადოებისას. სახლის შეკეთებას უკვე შეუდგა საზოგადოების ხუროთ-მოძღვარი ბ-ნი ოზეროვი.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობაში ძლიერ ბევრსა შრომობენ კალალდები და საქმეები რიგზედ დააწყონ. გუშინდელ დღიდგან უკვე ფულს იღებენ ბუხგალტერიაში, ხოლო მოხელენი თავიანთ საქმეებს შეუდგებიან 7 ივლისიდგან.

*** ქალაქის გამგეობა ამ თთვეში უეჭველად უნდა შეუდგეს ვერის ხიდის შეკეთებას, რადგანაც ამ ხიდის ფიცრები დამპალა და აღარ ვარგა. სულ მოკლე ხანში დაინიშნება საჯარო ვაჭრობა ხიდის შეკეთების იჯარით გასაცემად. საქმეს მხოლოდ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება აბრკოლებს, რომელიც მოვალეა ხიდი შეაკეთოს იმ ადგილას, სადაც რელსებია დაწყობილი. ქალაქის გამგეობამ უკვე მიჰმართა საზოგადოების დირექციას და სთხოვა, რაც შეიძლება მალე შეგვატყობინეთ, თქვენ თითონა გსურთ ხიდის ის ადგილი შეაკეთოთ, თუ იჯარადარს გადავსცეთ და ფულს თქვენ გადიხდითო.

*** ამბობენ, რომ ამ ზაფხულს სრულებით არ იქმნება კრება ტფილისის ახალ საბჭოსი, რადგანაც ახალი ხმოსნები ძლიერ ბევრნი არიან სოფლად გასულნიო. ამ გვარად, ტფილისის გამგეობის მოხელეთა ჯამაგირების დანიშვნა, ხმოსნების-მიერ ფიცის მიღება და სხვა საქმეები, უეჭველია, ენკენისთვის პირველამდე იქმნება გადადებული.

*** ტფილისში ჩამოვიდა საბალეტო დასი ვარშავის საიმპერატორო თეატრისა, დასში მონაწილეობას იღებენ 12 კაცი და ქალი, მოწვეულნი ქ-ნ ანტონოვის მიერ რამდენისამე წარმოდგენისთვის. პირველი წარმოდგენა დღეს არის დანიშნული პუშკინის თეატრში, მიხეილის ქუჩაზედ.

# ფელეტონი

## წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

არა შეჰდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. ვითომ შენც განათლებული კაცი ბრძანდები შენს ჰკუაში! გამიწყრეს შენის განათლების მადლი,—გამიწყრეს, თუ იმას მადლი ჰქონდეს. აფსუს ონოფრე მღვდლის ფულებო, აფსუს! საწყალი მამა იაკინთე რამოდენა ტანჯვა-წვალებაში იყო, დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, წელებზე ფეხს იდგამდ, ეგები შვილი გამოვზარდო,—ეგები ჩემი ექვთიმე კაი კაცი გამოვიყვანოვო. გამოხვედი კიდეც კაცი მამულის დამამშვენებელი, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს. ნეტა ერთი წამოახედა მამა შენი და დაანახვა შენი თავი, როცა შენ ჰხლაფოთობ, ეგები ჩემს თთვიურს ჯამაგირს ცოტა რამ კიდევ შევძინოვო; როცა სცდილობ, ეგები როგორმე ესა და ეს თვალ საჩინო ალაგი დავინარჩუნოვო. როგორ წითლად აილანძებოდა მისი ჰალარით შერთული დამჭკნარი პირისახე. ვაი შე ქალაჩუნავ, შე ქარაფშუტავ!.. რად გინდა შენ ცოლი, რა შენი საქმეა სიყვარული?! რად გინდა შვილები? იმიტომ, რომ გველის წიწილები დაამრავლო,—იმიტომ რომ უჯიშო, უვარგის ხალხით აავსო ქვეყანა, ვითომ უმსგავსი და უკეთესი შენ-კი არა ჰმარიხარ, მაგრამ, ღმერთო-კი ნუ გცოდებ, შენს შვილად წოდებული ვინ იცის ნამდვილად შენი რამდენი იქნება... სადაც ირთავენ ცოლებს შენისთანა ვაჟბატონები ეხლანდელს დროში, ეგეც ცხადია, მზეზე, დღეზე...

შენ ჯერ შენი მამა არ დაინდე, სხვას ვის დაინდობ, ვის გაიტან? ცხადად მიდგება თვალ-წინ ის სურათი, როცა შენ მამა ჩამოგივიდა და დაბრანძულ ანაფორიანი სკოლის გალავანში გელოდებოდა ჯოხზე დაბჯენილი თავ-მოზჩავებული; იმან მხურვალედ შუბლში გაკოცა. როცა ამხანაგებთან დაბრუნდი, ჩვენ გკითხეთ: ეგ ვინ იყო, ბიჭოვო, და შენ დაგვიმალე შენი მამა, არ ვიცი, სხვა ვინლაც დაასახელე. აბა გამოპრანჭული, გამოჭიმული მოსულიყო თუ შენ დაჰმალავდი, მაგრამ დამალე იმიტომ, რომ ღლახურად ეცვა ტანთა და ფეხთა... ვის მოატყუებ საწყალო, ვის?!. ეხლა რომ კაცადა სდგები, ეწევი ჩირთი-ფურთებს, საზოგადოებაში ურევიხარ ისე, როგორც ერთხელ ოდესმე ვირი გარეულა მარაქაში. ჰბაქი-ბუქიობ, სულ ენაზე გაკერია განათლებულთა კაცთა და ფილოსოფოსთა სახელები: ეს სპენსერიო, ეს გარტმანი, ეს კანტი, ეს ჰეგელი, ბოკლი და სხვადა-სხვა!.. მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რაში გეტყობა, რომ ან ერთს იცნობ, ან მეორეს,—გესწავლოს რამ ან ერთისა, ან მეორისაგან?!. ან-კი რას ვამბობ, ჯერ თავის მწერლებს არ იცნობ, ჯერ ისიც არ იცი, გვყვანან ქართველებს მწერლები, გვაქვს მწერლობა თუ არა, შენ სხვა რა უნდა მოგკითხოს კაცმა.

თუ დედამ შვილი გაზარდოს,
ე მაგრე შენისთანაო,
მუდამ გამოსადეგი ხარ
ყველგან და ყველასთანაო.

ამინი იყოს შენს თავზე, ჩემო ექვთიმე, ამინ!

—

ჰო, ვსთქვათ შენ შენი მიზანი გაქვს, რაღაც ჯანდაბა მიზანია და იმისაკენ მიისწრაფი, იმაში ჩაზელილია, ჩატენილი მთელი შენი კაცობა,—სხვას მაინც რაღა ჰკლავ იმ დაბალი, იმ უმსგავსი მიზნის გულისათვის. კაცობაა ეს, სთქვი, ტურავ, სთქვი, ნუ აძვლევ მელიასავით წვრილს და შხამიანს თვალებს!

ბედრანგ, ბედრანგ!..

მაგდენის ბოროტების მომქმედს, ნეტავი გამაგებინა, როგორა გძინავს. თუ გძინავს მოსვენებით, რა გესიზ-

*** მიხეილის ქუჩაზედ, კოტრინის სახლისა და ხიდის ყურზედ, მარტიევის სახლში, საავთიაქო წამლების საწყობში ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან. ხოლო პოლიციას ეჭვი აქვს, რომ არისტაკოვის საწყობში ცეცხლი განგებ „წაუკიდებიათო. გამოძიება სწარმოებს. არისტაკოვის მაღაზია დაზღვეული ყოფილა 13 ათას მანათად.

*** სომეხ-გრიგორიანთა კონსისტორიამ შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ ვერაზედ სომხის სასაფლაოს ერთს ნაწილში ვიღაცაც მიწა მოუხნავს და დაუთესია, ხოლო მეორე ნაწილში დაუდგამთ ბოძი და ზედ დაუწერიათ: «კონსტანტინეს აგარაკი». ეტყობა განზრახვა აქვთ ამ ადგილებზედ საჩივარი ასტეხონ და დაისაკუთრონ როგორმეო. ამიტომ კონსისტორია ითხოვს, ამ საქმის გარჩევა მიენდოს ისეთს კაცებს, რომელთათვის არავითარი სარგებლობა არ იქმნება ან ერთს მხარეს მიემხროს, ან მეორესაო.

*** გუშინ წინ, 5 ივლისს, ამიერ კავკასიის რკინის გზით გაატარეს ტფილისზედ სპარსეთში ავსტრიაში გაკეთებული სხვა-და-სხვა იარაღი და თოფები.

*** კვირას, 4 ივლისს, საღამოთი მიხეილის ქუჩაზედ იტალიის ბაღში დანიშნული იყო ჭიდაობა. ჭიდაობდა კულა გლდანელი. გლდანელმა თავის მოპირდაპირეს რაღაც ისეთი ქამანდი უგდო, რომ მაყურებელთ არ უყაბულეს და მოსთხოვეს, ხელახლად [illegible] მისი მომხრენი ბაღიდგან წამოვიდნენ. ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა, ჰყვიროდა ბაღში და სკამებს მტვრევა დაუწყო. მოვიდა პოლიცია, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ხალხმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია და ქვებს ესროდა. ერთი პოლიციელი დაიჭრა. ბოლოს იძულებულ იქმნენ ჯარი მოიყვანათ და ხალხი მხოლოდ მაშინ დაიშალა.

*** ქ. ბაქოს ზოგიერთ ვაჭრებს უთხოვნიათ მთავრობისთვის, ვაჭართა შორის საქმეების განსახილველად დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სავაჭრო სასამართლო, რადგანაც ვაჭრობა ძლიერ დიდია ბაქოში და ყველა უბრალო საქმისათვის მომრიგებელ მოსამართლეთ უნდა მიჰმართონ, რომელთაც უიმისოდაც ბევრი საქმე აქვთ.

*** 3 ივლისს, როდესაც რკინის გზის სადგურ აგტაგლიდგან გამოვიდა საქონლის მატარებელი, ორმა თათარმა განიზრახა ვაგონის გატეხა. კონდუქტორმა მატარებელი გააჩერებინა. ავაზაკნი ვაგონიდგან გადახტნენ.

ამავე დღეს ავაზაკები ნავთლუღიდგან მიმავალს მატარებელს შეუხტნენ, სადაც ალაყზედ იჯდა კონდუქტორი გედევანოვი. ჯერ ფარანი წაართვეს, მატარებელი არ გააჩეროსო, მერე ფული მოსთხოვეს. გედევანოვმა უარი უთხრა, ფული არა მაქვსო. თათრებმა არ დაუჯერეს და გააძრეს სრულიად ტანთ-საცმელი: ჩექმები, ღირებული 12 მანათად, აგრეთვე პალტო, ჯიბეშიაც უპოვნეს 2 მანათი და ისიც წაიღეს.

*** ხაშური (გორის მაზრა) 24 ივნისს: აქ ბ-ნ ფანცულიასა და გაბუნიას თაოსნობით წარმოადგინეს პიესები: „ორი მშიერი“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, და „მზის დაბნელება“. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა და დიდად ასიამოვნა მაყურებლები. დარბაზი სავსებით სავსე იყო ხალხით. წარმოდგენის შემდეგ გამართულ იქმნა დივერტისმენტი. ბევრი ლექსები წაიკითხეს კარგად და მწყობრად. საზოგადოდ კმაყოფილები დარჩნენ მაყურებელნი. წარმოდგენა ხაშურის სადგურის მოხელეთა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ იყო გამართული. ამ ფულით სურთ შეიძინონ ქართული წიგნები, რადგანაც აქამომდე არა ჰქონიათ ამ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნები და კითხვის მსურველნიკი ბლომად არიან.

*** სოფ. ნაქალაქი (ზუგდიდის მაზრა): ამ დღეებში აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ერთმა გლეხმა, გვარად ნანავამ, შეამჩნია თავის ცოლს, რომ ერთი მეზობელი ახალგაზდა კაცი ძლიერ მოსწონდა. ამ ახალგაზდა კაცს ცოლი ხშირადა ჰპატიჟობდა სადილად და ვახშმად. ნანავამ ეჭვი მიიტანა ცოლზედ და უნდოდა თვითონ დარწმუნებულიყო, ატყუებდა თუ არა ცოლი, და ამისთვის ერთ ღამეს თავი მოიმძინარა. ცოლმა არა იცოდა-რა, ადგა, ტანთ ჩაიცვა და გამოვიდა, სადაც სატრფო ელოდდა. ქმარი დარწმუნდა, ცოლი მღალატობსო, მაგრამ ხმაც არ ამოუღია და სახლში დაბრუნდა. მეორე დღეს საბრალომ გამოუცხადა ცოლსა: ყველაფერი ვიცი, მაგრამ არას დაგიშლით და მსურს ბედნიერი იყო, თუ კი ეს შესაძლებელიაო, და ამ სიტყვებით ამოიღო რევოლვერი და თავი მოიკლა. ხალხი გაკვირვებულია ამ საკვირველის ამბით.

*** ქუთაისი: ზედამხედველმა კომიტეტმა ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკისამ გადაწყვიტა კრების ხელ-ახლად მოწვევა 26 აგვისტოსათვის, მაგრამ ეს დრო გუბერნატორმა უხერხულად იცნო, რადგან ამ დროს ძლიერ ეცხელება და გარდა ამისა ამ დროსვე სამეგრელოში გამიჯვნის გამო დიდძალი ხალხი ვერ შესძლებს კრებას დაესწროს. ზედამხედველი კომიტეტი სხვა დროს აირჩევს ახალ არჩევანისთვის.

*** ზუგდიდი, 26 ივნისი: სწორედ რომ მშვენიერი და საამო წელიწადია ჩვენში: თავის დროზედ ჟუჟუნა წვიმა, დროზედ სითბო, დროზედ სიგრილე. ერთი ცხელი პაპანაქება ანუ ქარიანი დღე არ გამორევია ჯერჯერობით ამ ზაფხულს. ყველასაგან გაიგონებთ: „რა ღვთისაგან კურთხეული წელიწადიაო“. მიწის მოსავალი კარგია, ხეხილს ბლომად ასხია; ხე და ვაზი დახლართულა, დაძოწილა მტევნებით, შტოები დაბლა დაუწევია.

გამხნევებულნი მცხოვრებნი, რაკი დაატყეს, რომ ყაჭის წარმოება წინ მიდის, შრომას იორკეცებენ და უფრო მხნედ და ბეჯითად ეკიდებიან სააბრეშუმო საქმეს. იმედია, რომ მომავალში ეს წარმოება საზოგადოდ უფრო წინ წაიწევს, უფრო გაიფართოვდება და მით უფრო მეტს ნაყოფს მისცემს მწარმოებლებს. მხოლოდ ეს არის, რომ ყაჭის ჭიის ხელი არ იციან და შეიძლება ამან საქმესავნოს. წარმოიდგინეთ, აქ მოსულ ყაჭის თესლს შემდეგისათვის ინახვენ, საყიდელი აღარ გაგვიხდესო. ეს დიდი შეცდომაა, რადგანაც თესლის შენახვა ჩვენებმა არ იციან და შეიძლება, შრომამ მომავალში უნაყოფოდ ჩაიაროს.

ზუგდიდი დღე-დღეზედ წარმატებაში შედის. ნაცვლად ხის შენობებისა, ააგეს ქვის შენობები და ლამაზად გადაჰპიმეს ქვის დუქნები, სახლები და ქარვასლები. აღებ-მიცემაც აქ გვარიანია. ყოველ პარასკევობით და კვირაობით იარმუკობა იმართება, სადაც იკრიბება ხალხი ყველა სამეგრელოს კუთხიდამ და შემოაქვს ყოველივე სოფლის ნაწარმოები გასასყიდად ანუ გასაცვლელად.

*** ივლისის 5 პოლიციის მეექსე ნაწილში ტფილისის მცხოვრებელი არშაკ ამირშანოვი წინანაურის მონასტრიდამ ნასვამი სახლში მოდიოდა, უეცრად ხევში გადავარდა და ფეხი მოიტეხა.

*** ამავე დღეს სუმბათოვის ვიწრო ქუჩაზე მართა ინგოროკოვის სახლში სოფ. ალტალის მცხოვრებელი ბაბა მამედ ჰასან-ოღლი ცუდი ყოფა-ქცევის ქალს სოფიო მიკირტუმოვს წაეჩხუბა და დანით ოთხს ალაგას დასჭრა. ქალი მაშინვე გარდაიცვალა. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 5 ივლისს პოლიციის მეოთხე ნაწილის საპატიმროში თავისისავე პერანგით თავი ჩამოირჩო სათადარიგო ჯარის კაცმა დიმიტრი კოვალევმა. კოვალევი იმავე დღეს შეეპყროთ წესიერების დარღვევის გამო. ცოლმა სთქვა, რომ ჩემი ქმარი საპატიმროში მსახურობდა და რაც იქიდამ დაითხოვეს, მთელს დღეს და ღამეს ღვინის სმაში ატარებდაო.

—

## შეცდომის გასწორება

გუშინდელს ნომერში ფელეტონის მეორე-გვერდის მეხუთე სვეტზედ ძირიდგან მესამე სტრიქონში სწერია: „მდიდარ თმებთან“, უნდა იყოს:—„მდიდარ რითმებთან“.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ბორჩხა** (ბათუმის ოლქი), 8 თიბათვე. სოფ. ბორჩხაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს წლევანდელმა მდ. ჭოროხის ადიდებამ ძლიერ დიდი ზარალი მისცა. მარტის პირველიდგან დაწყებული მაისიც გათავდა და აი ჯერ კიდევ არ შეუძლიანთ ნავის ტარება და მუშაობა ჭოროხზე, ზოგიერთ ნაქებ მენავეების გარდა, ისიც დიდის შიშითა და სიფრთხილით. თუმცა წასულ წლებშიაც ყოფილა წყალდიდობა, მაგრამ ამდენ ხანს არ გაუწევია. როდესაც წყალდიდობა არ არის, მაშინ ბორჩხელი და ზოგიერთი ჭოროხის-პირ მცხოვრები მხოლოდ ნავოსნობით შოულობს სარჩოს. ამით ისტუმრებს სახელმწიფო გადასახადს, მოყვარეს, მტერსა და ნაცნობს. წელს ეს შემოსავალი აღარა ჰქონია და მამა-კაცები მარტო ძილში ატარებენ დღე-ღამეს, ვიდრე წყალი არ იკლებს.

თუმცა აქაურებს აქვთ საყოფი სახნავ-სათესი მამული, მაგრამ ხვნა-თესვას და ჭირნახულის მოყვანას აქაური კაცი არ მისდევს, რადგანაც ეს ადათით ქალების მოვალეობაა. ბორჩხის მცხოვრებთ კიდევ აქვსთ ერთი საშუალება სარჩოს მოპოვებისა: ესენი აკეთებენ ზაფხულობით თიხის დოქებს და სხვა-და-სხვა ჭურჭელს, რომლისგანაც კაი ფულებს ღებულობენ. ამ ჭურჭლებით ერთი ნავი რო გაავსოს და ჩაიტანოს ბათუმში, ორმოცდაათ მანათიდგან სამოცდახუთ მანათამდის გაისყიდება. თუმცა ეს ძალიან სასარგებლო საქმეა, მაგრამ სხვა სოფლელებმა ჭოროხის ხეობაში ამ ნაირი ხელობა არ იციან და არც საჭურჭლე თიხა აქვსთ. სხვები მარტო ნავით მოგებულ ფულით ჰკვებავენ ცოლშვილს. ამის გამო ბორჩხელები სხვა სოფლელებზე უფრო მდიდრად ითვლებიან ამ ხეობაში.

მართლადაც ბორჩხაში იმისთანა არავინ იქნება, რომ ორმოც-და-ათიდგან სამას-ოთხასამდე ოქრო არ ჰქონდეს (ცხრა მანათიანი ლირა.)

საზოგადოდ რო ვსთქვათ, აქაურებს არც იმდენი გადასახადი აწევთ, რამდენიც თქვენებურ გლეხს. ამას გარდა ქორწილს თუ აქაური კაცი იქმს, არც ღვინოში ეხარჯება ფარა, და არც „ოტკაში“. თუ მექორწინემ თითო ფინჯანი შერბეთი და უშაქრო ყავა მიართვა, ესეც დიდი ღვთისწყალობაა (ეს ფინჯანიც იმ ხელა იციან, რომ თქვენებურ თერძებს უფრო დიდი სათითე აქვს თითზე წამოცმული კერვის დროს). თუ კაი ძალი ფლავი, პური და თაფლი ექნა, მაშინ სტუმარიც მადლობელი მიდის სახლში და მასპინძელიც ადვილად რჩება.

თუ მოკვდა ვინმე, თითქმის არც მაშინ ეხარჯებათ რამე. მკვდარს მეზობლები მოუვლიან დაუძახებლად. მოვა ხოჯაც, გაჰბანს მიცვალებულს და მალე, სამი-ოთხი საათის განმავლობაში სიკვდილის შემდეგ, მიაბარებს მიწას. ერთ მანეთს ტანის დასაბანს ხოჯა აიღებს, ერთ მანათის მიტკალი ეყოფა და, თუ ორ მანათამდე გროშობით ძლიერ ფუხარას დაურიგდა, მკვდარიც მოისვენებს და ცოცხალიც კმაყოფილია. მეზობელს არც საჭმელი უნდა შენი, არც სასმელი და არც მადლობა.

თქვენში-კი ამ ფულით მარტო დიაკვანს ვერ გაისტუმრებთ. მეზობელი თუ კარგად არ გამოძღა და არ დათვრა მკვდრის დამარხვაში, არც-კი მოეხმარება, და ყველგან იმას იტყვის: ვერაფერი ჭირისუფალი ჰყავდაო, ღვინო არ უვარგოდა და საჭმელიც ხომ ლუკმად არავის გაუხდაო...

მრება? ნუ თუ სიზმრები არა გტანჯავენ, დავიჯეროთ?.. არა, არა, შენ ცხადად რომ არ იტანჯები, სიზმარში, სიზმარში რა დაგტანჯავს,—შენმა გულმა სირცხვილი არ იცის. დიდი ხანია სინიდისი გაროზგვილი, გატყეპილი გაგეყარა შენ და სხვაგან მოძებნა ბინა.

რა ხარ შენ? კაცი ხარ ვითომ? არა ხარ კაცი. მიკვირს, რადა გაქვს კაცის სახე. ღმერთო, რატომ ისე არ გააჩინე ადამიანი, რომ რა წამსაც ასე გასთელავდა კაცობას, როგორც ექვთიმესა აქვს გათელილი,—მაშინვე მოგეშორებინა იმისთვის შენი სახე და მიგენიჭა რამ სხვა ცხოველისა; ვეცოცხლებინა-კი, რომ ყველას ენახა თვალით და ეთქვა: აი ესაა ის კაცი, რომელმაც ადამიანიშვილობა დაჰკარგაო. მაგრამ არა, ღმერთო, შენ უფრო ჭკვიანიცა ხარ: შენ ჩვენზედ უკეთესად უწყი, რომ თუ კაცმა ადამიანობა დაჰკარგა, იმაზე უმსგავსი, იმაზე უხეირო მთელს სამყაროზე აღარ არსებობს არც ერთი სულიერი, არც ერთი საგანი აღარ მოიპოვება იმას დაამსგავსოს, მაშინ იგი შეუდარებელი ხდება. დღეს ასეთი შეუდარებელი ხარ შენც, ექვთიმე. შენ მე შევადარებ არა ხილულ, არამედ უხილავ, განყენებულ საგანთან, იმას წყევლა ჰქვიან.

—

ბიჭო, ძმაო!.. რომ არცა რა ძმობისა გაგეგება და არც არა თვის-ტომობისა. განა შენ რომ იაკინთეს შვილი ხარ და მე გაიოზისა, იმიტომ ძმანი არა ვართ?! ვითომ მიწა-წყალი ერთი გვაქვს, ვითომ მტერი ერთი გვყავს, ვითომ მოკეთეც რაც ერთისაა, მეორისაც იგივეა, ვითომ ერთის ენითა ვსაუბრობთ, ერთი და იგივე წარსული გვაქვს და ერთ ნაირს მომავალს მოველით; შენც ქართველი ქალი გირწევდა აკვანს და მეც, ერთს ხმაზე გვეუბნებოდნენ ნანას... მაგრამ, ეჰ! შენ ამას არ ჰფიქრობ. მე რო მტერი დამეცეს თავსა და მკლავდნენ, შენ მე არ მომეშველები, ჩემი წყლულები შენ გულს არ აგატკიებს; იმავე მტერმა რომ გიბრძანოს: ჰა მახვილი, მამუკას დაჰკაო! შენ, ვიცი ჩამოართმევ მახვილს და კვლას დამიწყებ. მეტი-და უსამართლობა იქნება? ძმა ძმის ხელით დაუნაშავრადა კვდებოდეს?! ხომ შენც კარგად იცი შენთან არაფერი დანაშაული მაქვს, მაგრამ, ვფიცავ ღმერთს,— დამკლავ, არ დამზოგავ, იმიტომ, რომ გიბრძანებენ. ძაღლი პატრონს უგონებს, რადგან იმისაგან იკვებება, მაგრამ ძაღლი ძმას და დედას არ ერჩის, თუნდა პატრონმა მრავალი უბძანოს, მრავალიცა სცემოს გაუგონრობისათვის.

ძაღლი ვითომ ძაღლია და შენ-კი კაცი!

ძაღლი ძაღლის ძვალს არ გასტეხსო, ამბობს ქართული ანდაზა, მაგრამ ადამიანი-კი სჩანს რომ სტეხს ადამიანის ძვალს, ძმა—ძმისას.

გასწი, იარე
სანამდის, ვიდრე
არ გაგითავდეს
საზღვარი, კიდე
და სადმე კლდეზე
არ გადიჩეხო,—
ეგ ლაყე გოგრა
არ გაიჩეხო.
სადა ხარ, მეხო,
თავ-პირის მტეხო,
რომ დაიჭეხო
და ჩემს ექვთიმეს
მარტო იმის „მეს“
ზედ დაეჯახო,
რომ მეცა ვნახო.
ვითომ ვიტირო?
უნდა ვიყვირო:
„მოგვიკვდა გმირი,
როგორაც ვირი;
თავის ქვეყნისა
ლიპო და ძირი;
მისთანა ბიჭი
ჩვენშია ძვირი,
იმიტომ ვყვირი,
იმიტომ ვსტირი:
დაუდგა ენა,
გაუხმა პირი.
მისი სიცოცხლე
ღირს პანტის ჩირი!“
— მკვდარი რას იგრძნობს?
ვინც რა უნდა სთქვას,
წყალმა იდინოს
და წისქვილმა ფქვას.

შენი ერთგული მამუკა

ვინც-კი აქ დარჩა და არ გადასახლდა ოსმალოში, დიდი მამული დარჩა; ოსმალოს მფლობელობის დროს ბორჩხაში ას-ოცი კომლი იყო თურმე, ახლა-კი მარტო ოც-და-ჩვიდმეტი მოსახლეა. გადასახლებულთა მამულ-დედული სულ ამ ოც-და-ჩვიდმეტ მოსახლეს უჭირავს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ უმეტეს ნაწილს ისევ ოსმალეთისაკენ უჭირავს თვალი. კარგად იციან, რომ იქ კაი დღე არ მოელით, მაგრამ მაინც იქითკენ მიიწევენ. აქ მოგებული ოქროები ზოგი გზაზე ეხარჯება, ზოგი ახალ ბინაზედ მოწყობას უნდება და ხალხის გაცნობას, და მერე, სანამდის საყოფ მამულს იშოვიდეს, ცოლ-შვილი სიმშილით ეხოცება. ადვილია ცხოვრება მხოლოდ იმისთვის, ვისაც ნახევარი სახლობა იქა ჰყავს, ნახევარი აქ (სულ ასეა თითქმის გადასახლებულთა ოჯახი გაყოფილი). აი ამ მიზეზის გამო აქაური ფუხარა, თუ რამე მოიგო, იქ უგზავნის თავის შვილს, ან მამას, და თვითონ-კი აღარა რჩება-რა.

მართლაც რომ ვსთქვათ, ძალ-ანი ფულის სიძვირეა აქაურობაში, რადგან აქაურმა ქართველ-მაჰმადიანმა ცხრა მანათი ქაღალდის ფული თუ იშოვა, მაშინვე ოქროდ უნდა აქციოს, რადგან ეშინიანთ ქაღალდის ფული არ გაყალბდესო, როგორც ოსმალთა დროსაო; შეახვევს ჩვარში და, ძალიან გაჭირვება თუ არ მიადგა, ისე ერთ გროშს ვერ დაახარჯვინებთ. მხოლოდ ორი შემთხვევაა, როცა აქაური ჩვარში გამოკრულ ოქროს გამოხსნის: ერთი მაშინ, თუ ჭირნახული შემოაკლდა და შიმშილი უწუხებს ცოლ-შვილს; მეორე—თუ ვინმე შემოაკვდა, ან ქალი მოსტაცა ვისმე და ამის გამო გაება მახეში. მაშინ-კი არ დაზოგავს ამ ოქროებს. თუ იმან ოქროები არ იხმარა, ისე ვერ მოურიგდება ვერც მკვდრის ხისიმს (ნათესავს), ვერც ქალისას. როდესაც ოქროებს კაიძალს დახარჯავს, მაშინ მკვდრის ნათესავიც ადვილად მოურიგდება და იტყვის, იმას არ მოუკლავსო, და ქალის ხისიმებიცა. სოფლის წინა კაციც ეძებს სანთლით ამისთანა შემთხვევას მეზობლისას, რომ ცოტათი მაინც არის მოითბოს ხელი მეზობლის ოქროებით.

ხანდისხან „ივერია“ გადაჭრელებულია ხოლმე სხვა-და-სხვა ალაგებიდგან მოწერილ ამბებით, რომ ქურდებმა და ავ-კაცებმა აგვიკლესო, ვერაფრით ვერ მოეღო ბოლო ამ ბოროტ მოქმედებასაო. აქაური ქართველი მაჰმადიანები ამით-კი მაღლა სდგანან მანდაურებზედ. თუ ყველას არა, მომეტებულ ნაწილს მაინც ეს ხელობა ძალიან სამარცხვინოდ მიაჩნია. ძალიან იშვიათია აქაურობაში ეს კაცის დამამცირებელი ხელობა. ძნელად რომ თქვენ გაიგონოთ, ამა და ამ კაცს ცხენი მოჰპარესო, იმას ხარი და ძროხა წაართვეს, სახლი გაუტეხესო. აგერ თითქმის ნახევარ წელმა განვლო, რაც არავინ მოუკლავთ და არც არავინ გაუქურდავთ. ღმერთმა ჰქნას მომავალშიაც ესეთი მშვიდობიანობა იყოს. დროა დარწმუნდნენ, რომ ეს ხელობა ძალიან ცუდია, არც შერჩება ადამიანს ადამიანის სისხლი, და არცა სხვის საქონელი მოხმარდება, დღე თუ ღამე მაგიერი მიეწყება. მიხვდნენ ამას აქაურნი და ამის გამო ანებეს თავი ამ ცუდ ყოფა-ქცევას, ზოგმა მუშაობას მიჰყო ხელი, ზოგმაც ვაჭრობას, რომლითაც ტკბილსა და ალალ ლუკმასა შოულობენ.

თ. ი. ჯაიანი.

## წერილი ტყიბულიდამ

იმ სამწუხარო ამბის შემდეგ, რომელიც მოხდა აქ 3 ივნისს (იხილე „ივერია“ № 121) აქციონერთა საზოგადოების განკარგულებით მადნის მმართველი ბ-ნ ი. ალაბაბოვის ადგილზე დაინიშნა მადნის ახალ მმართველად ინჟენერი ბ-ნი ბეგზადოვი, რომელიც ამ დღეებში მოვა და მადნს ჩაიბარებს.—აქციონერთა საზოგადოების განკარგულებითვე მოვიდნენ აქ 16 ივნისს ბ-ნი ნიკოლოოზ ნიკოლაძე, ვექილი ბ-ნი გ. ლოლობერიძე და საზოგადოების მიერ ამორჩეული დირექტორი ბ-ნი ა. წურინოვი. ბ-ნი ნიკოლაძე და ლოლობერიძე მოვიდნენ საზოგადოების მამულში მცხოვრებთ დროებით ვალდებულ გლეხთა 35 კომლის ქასრაშვილების გასათავისუფლებლად და მათი ადგილის გამოსაყოფად საზოგადოების მამულიდგან.—ქასრაშვილებს აქვთ ქვის ნახშირაში 60 ქცევა ადგილი და ამ ადგილის დასახსნელადა და სანაცვლოდ საზოგადოებას ჰსურს გლეხებს მისცეს სხვა ალაგას 530 ქცევა მიწა და 5000 მანეთი ფულად; გლეხები-კი თხოულობენ, 15 ათასი მანეთი მოგვეცით და ის 530 ქცევა მიწაო, რადგანაც იმ 530 ქცევა მიწის სამი მეოთხედი მწირი და უნაყოფო არისო. როგორც გვესმის, ბ-ნ ნიკოლაძის და ლოლობერიძის მეცადინეობით გლეხებსა და საზოგადოების შუა მორიგება ჩამოვარდება ისე, რომ არც წვადი დაიწვის და არც შამფურიო, არც გლეხები იქმნებიან დაჩაგრულნი და ზარალ ქვეშ და საზოგადოებაც მოგებული იქმნებაო.

დირექტორს ბ-ნ ა. წურინოვს აქვს მინდობილი, მადანი დაათვალიეროს, გაიგოს ყოველივე ვითარება მადნისა და, მადნის ეკონომიური მართვა-გამგეობა ჩააბაროს ბ-ნს ი. ავნათამოვს, ხოლო მადნის ტეხნიკური მართვა-გამგეობა ახალს ინჟენერს ბ-ნს ბეგზადოვს.

ეს სამი წელიწადია, რაც აქციონერთა საზოგადოებას ორი მადნის მმართველი ჰყავს აქ, ერთი ტეხნიკურ ნაწილში და მეორე ეკონომიურ გამგეობისათვის.—თუმცა ჩვენი საქმე არ არის საზოგადოების შინაური საქმეებში გარევა, მაგრამ გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ორი მადნის მმართველი ასეთ ახალ დაწყებულ საქმეში არაფერი საჭირო იყო, ჩვენის ფიქრით. ჯერ ერთი მმართველისთვის არ არის ბევრი საქმე აქ, და მეორეც ხარჯს რისათვის კისრულობენ? გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ნათქვამია: „ორ ძიძას-შუა ბავშვი სიმშილით მოკვდაო“. უეჭველად აგრეთვე ყოველს საქმეში, სადაც-კი ორი მმართველი არის, ერთის საქმის გასაძღოლად, არ გვგონია, რომ იმ საქმემ იხეიროს და სასურველი ნაყოფი მოიტანოს.—ვგონებთ უმჯობესი იქმნებოდა, რომ მადნის მმართველად ერთი კაცი დაენიშნათ, რომელსაც უნდა ეკითხებოდეს ყოველივე მადნის საქმე და ის იყოს ერთად ერთი პასუხის მგებელი საზოგადოების წინაშე. მას თანაშემწეც უნდა ჰყავდეს, რასაკვირველია, დანიშნული.

17 და 18 ივნისს ბ-ნთ ნიკოლაძემ და წურინოვმა დაათვალიერეს მადანი, მუშების სადგომი სახლები და მთელი მამული, რომელიც რამდენსამე ას ქცევა ადგილს შეიცავს. ბ-ნმა ნიკოლაძემ შენიშნა, რომ აუარებელი ხე-ტყე მოუჭრიათ საზოგადოების მამულში მადანისათვის მოსახმარებლად, რის გამო მადნის გვერდზე ჩამომდინარე საკმაოდ მოზრდილი ღელე, ამ სამის წლის განმავლობაში ე. ი. მას აქედ, რაც ხე-ტყე მოუჩეხიათ, შესამჩნევად დამშრალა, და ეხლა იმოდენა არ მომდინარეობს წყალი ამ ღელეში, რამდენიც წინადაო. ამის გამო ბ-ნმა ნიკოლაძემ გააფრთხილა მადნის მმართველი, არამც და არამც ერთი ძირი ხეც არ მოაჭრევინოთ ამას შემდეგ საზოგადოების მამულში, თუ გინდა, რომ მადანი უწყლოდ არ დარჩესო, რომელიც დიდად უსაჭიროესია მადნისათვის, როცა „ბრიკეტის“ და სხვა ქარხნები გაიმართებაო.

მადანისთვის საჭირო ხე-ტყის მოტანა შორიდანაც შეიძლება, ხოლო წყალისა-კი ძნელი იქნებაო და გარდა ამისა რომელს მამულში და განსაკუთრებით ქვის ნახშირის მადანში ხე-ტყე არ არის, ის მამული კიტრადაც არა ღირსო. როცა ხე ტყეს გადაჩეხთ, შემდეგ წვიმა-თოვლიც დაგვიძვირდებაო, სთქვა ბ-ნმა ნიკოლაძემ აქაურს გლეხების გასაგონად, რომლებიც გაჰკვირდნენ ამ სიტყვის გაგონებით და უპასუხეს ბ-ნს ნიკოლაძეს: „მაშ იმიტომაა ბატონო, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ისეთ ხშირ წვიმებს და დიდს თოვლს ვერ ვხედავთ, როგორც წინად იცოდაო“. რასაკვრელია ხე-ტყის განადგურებამ იცის უმეტეს ნაწილად მიწის სიმშრალე და უწვიმობა-უწყლობა, და ყველა გაუფრთხილდით ხე-ტყესაო, სთქვა ბ-ნმა ნიკოლაძემ.

შემდეგ ამისა მადნის მმართველმა, სხვათა შორის, უთხრა ბ-ნს ნიკოლაძეს, რომ მადანში მომუშავე მუშებს ხშირად ჩვენს ნებაზე ვერ ვშოულობთ. ისინი მაშინ მოდიან სოფლებიდგან მადანში სამუშაოდ, როცა მათი სურვილი არის, და როცა ჰსურთ მაშინ მიდიანო, თუმცა-ღა ქირას კარგს ვაძლევთო და ეს გარემოება ძლიერ აფერხებს საქმესაო.

— უმთავრესი მიზეზი მაგისიო, მიუგო ბ-ნმა ნიკოლაძემ, ის გახლავსთ, რომ მადანში მუშათათვის სადგომი ბინა არ არის რიგიანად მოწყობილი. აბა შეჰხედეთ, რას ჰგავს ეხლანდელი მუშების სადგომი ბინა, იმ ქოხებში და ფაცხებში ცხოვრება, არა თუ ადამიანს, დათვსაც-კი გაუჭირდება და, თუ გვინდა, რომ მუშები მოვიზიდოთ, უსათუოდ უნდა ავაშენოთ მათთვის ცალკ-ცალკე გორაკებზედ ამ საუცხოვო საცხოვრებელ ადგილში, თითო ოჯახისათვის თითო პატარ პატარა კარგად მოწყობილი სახლი; სახლთან უნდა მიეცეს მუშას მიწა საბოსტნედ და, როცა ასეთი ბინა სამყოფი ექმნებათ განსაკუთრებით იმ შორის კუთხიდგან მოსულ მუშა ოსებს და რაჭველებს, მაშინ, გარწმუნებთ, ისინი ცოლშვილით აქ დასახლდებიან და შემდეგ არა თუ თავის ნებით წავლენ აქედან, კეტით რომ სცემოთ, მაინც ვერ მოიშორებთ თავიდგან მუშებს და, მაშასადამე მადანს თავისი საკუთარი მუშა ნიადაგ ეყოლება, ისე როგორც ბევრგან უცხოეთში მადანს ჰყავს დასახლებული მუშები თავისთვის. თუ ასე მოვიქცევით, რაღა თქმა უნდა, დიდად სასარგებლო იქნება, როგორც ჩვენთვის, აგრეთვე მუშებისთვის; გარდა ამისა, არ იფიქროთ, რომ მარტო ეს საშვალება კმაროდეს მუშების გულის მოსაგებად და მოსაზიდავად. უპირველეს ყოვლისა მუშების შრომა ღირსეულად უნდა დაჯილდოვდეს და აგრეთვე მუშების შვილებისათვის მადანში სკოლა უნდა იქმნას აშენებული. და როცა ასე მოვაწყობთ მადანში მუშების საქმეს, მუშები არასოდეს არ გვიღალატებენ და, ვინც უნდა მოცილე გაგვიჩნდეს, ჩვენს მუშებს ვერ გადიბირებენო.

ჭეშმარიტებაა. თუ მართლა მადანში მუშების საქმე ისე მოაწყეს, როგორც ბ-ნი ნიკოლაძე ბრძანებს, შემდეგ ჩვენს მუშებს მოჰხედავს ღმერთი და ესენიც ადამიანების რიცხვში ჩაეწერებიან და ადამიანურადვე ეღირსებათ ცხოვრება. ვისურვებთ, რომ მუშების საქმე კარგად მოწყობილიყოს და საზოგადოებასაც კარგი ხეირი და სახელი ჰქონოდეს.

როგორც გავიგეთ, აქციონერთა საზოგადოებას ხაზინისაგან უსესხნია მეოთხედი მილიონი მანეთი და ამ ფულით ჰსურთ მადანის წარმოებას საფუძვლიანად მოჰკიდონ ხელი; მადანში უნდა აშენდეს „ბრიკეტის“, „კოკსის“ და ფისის ქარხნები, აგრეთვე უნდა აშენდეს სახლები გამგეობისათვის, მოსამსახურეთა და მუშათათვისაო. ყველა ზემოხსენებულ შენობის აგება მადნის ახალ მმართველ ინჟენერ ბ-ნ ბეგზადოვის ხელმძღვანელობით იქმნება გაკეთებულიო. იმედია, პატივცემული ინჟენერი საზოგადოების ნდობას გაამართლებს, ერთგულად შეუდგება თავის მოვალეობას და, როგორც გამოცდილი კაცი, ცეცხლის ჩაქრობასაც მოახერხებს მადანში და ამ მომავალ ზამთრისთვის საკმაოდ მოამზადებს ნახშირს, დააკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას და მით საზოგადოების საქმესაც წინ წასწევს.

ეს კურთხეული ადგილი მარტო ქვის-ნახშირით-კი არ არის მდიდარი. აქ, გარდა ქვის-ნახშირისა, რკინაც ბევრი სძევს მიწაში, გიშერიც და საკირე და საცემენტე ქვაც. აქაური რკინა თუმცა ისეთის ღირსებისა არ არის, როგორც ურალის მთის რკინა, მაგრამ სახეირო მაინც არის მისი შემუშავებაო. ამ ოცი ორმოცის წლის წინად თურმე აქაური გლეხები სახელმწიფო გარდასახადს აქაურ რკინით იხდიდენ და თვითონაც სარგებლობდნენო.

ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში მართლა რომ ღვთის კალთაა დაბერტყილი. რომელიც გნებავთ, ის კუთხე გასინჯეთ ჩვენის ქვეყნისა და ყოველგან გამოულეველ სიმდიდრეს ნახავთ ჩაფლულს მიწაში, და ჩვენი სიგლახე ის არის, რომ ვერ ვიცნობთ ჩვენს მიწა-წყალს კარგად და ვერ ვსარგებლობთ მის სიმდიდრით. აბა ერთი ამერიკელი ან ინგლისელი ჩააყენეთ ჩვენს მამულში და ჰნახავთ, რა აუარებელი სიმდიდრე ამოალაგოს დედამიწის გულიდგან. დიაღ, აუარებელი სიმდიდრე არის ჩაფლული ნაქერალის მთის ძირში და ვნახოთ, აქციონერთა საზოგადოება როგორ კეთილად მოიხმარს სახელმწიფო ბანკიდგან სესხად აღებულ მეოთხედ მილიონ მანეთს. სულით და გულით ვისურვებთ, რომ ტყიბულში მალე გვენახოს სხვა-და-სხვა ქარხნებში შეუწყვეტელი ჩარხების ტრიალი და ორთქლის მაშინების წივილ-კივილი, ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის მამულის შვილთა სასარგებლოდ.

მეგრელი

(დასასრული იქნება)

## გასართობი

ერთხელ ედისონს პატივმცემელთ სადილი გაუმართეს. სადილის დროს სთხოვეს ედისონს: გვითხარ, გვიამბე, როგორ დაიწყე შენი მოღვაწეობაო.

— ძლიერ ღარიბი, ბოგანო ვიყავ. ერთხელ ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი,—დაიწყო ედისონმა. საშინლად მშიოდა, ჯიბეში-კი თაგვები ნავარდობდნენ... ერთს სახლთან მდიდრული კარეტა გაჩერდა. კარეტიდგან გადმოვიდნენ: მთელ ქალაქში ცნობილი მდიდარი კაცი და მისივე ახალგაზრდა მშვენიერი ქალი. ვნახე და კინაღამ გავგიჟდი. „ეს ქალი ჩემი უნდა გახდეს“ —გადავწყვიტე. მეორე დღეს მივედ მილიონების პატრონთან და ვთხოვე: „შენი ქალი მომათხოვე“-მეთქი.“ მერე ვინა ხარო? მკითხა.

— სხვა-და-სხვა ახალ მანქანების გამომგონი გახლავართ. თუ გნებავთ, ელექტრონის ისეთს მანქანას მოგიტანთ, რომ ქურდი ვერ მიეკაროს თქვენს კასასა.

გაეხარდა. დიდად დამავალებო,—მითხრა. ცოტახანს შემდეგ დაპირებული მანქანა მივუტანე და იმანაც პირობა შეასრულა: ქალი მომათხოვა. ცოლის მილიონებით ვისარგებლე და მრავალი მანქანა მოვიგონე და გავაკეთე.

— ვაშა,! ვაშა! დაიძახეს ედისონის პატივმცემლთ. ერთი ეს გვიბრძანეთ, ბევრი რამ მოგიგონიათ?

— ძლიერ ბევრი, უპასუხა შეზარხოშებულმა ედისონმა, ეს ამბავიც-კი ახლა მოვიგონეო.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში სია იმათი, რომელთაც შემოსწირეს ფული კავკავის ქართულ სკოლასთვის სახლის ასაშენებლად:

დავით ზ. სარაჯოვი—300 მან., მოზდოკელოვი ი. კ. 100 მან. (200 მანათს კიდევ შეგვპირდა.), ძმები არტემ და ალექსანდრე პ. გაზალოვები 200 მან., შვილევი ი. გ. 100 მან., პაპოვი ს. ი. 100 მან., მოზდოკელოვი გ. კ. 100 მან., თ. სიდამონოვი-ერისთავი ეგ. გ. 60 მან., კალანდარაშვილი მ. 80 მან, ბალანჩივაძე ნ. ი. 50 მან., კახიძე ტ. პ. 50 მან., კულიკოვსკისა ს. ს. 30 მან., კაზიბეკოვი ს. დ. 30 მან., თ. ჭავჭავაძე არ. გ. 25 მან., კნეინა ჭავჭავაძისა მ. ზ. 25 მან., მარკოზოვი მ. 20 მან., ბურდული გ. 25 მან., ორკოლოვი ს. 29 მან., ბარათაშვილი გ. ზ. 20 მან., მაჭავარიანი ნ. ი. 20 მან., აფრიამოვი ალ. 20 მან., ლუბნელაძე ივ. ფ. 20 მან., სარაჯოვი ალ. პ. 20 მან., ჩითაევი მ. ფ. 20 მან., თ. ჭავჭავაძე დ. ი. 10 მან., ზუბელევი დ. გ. 10 მან., გვარამაძე ლ. ს. 10 მან., სხირტლაძე ზ. 10 მან., ფურცაძე ნ. ივ. 10 მან., დიდებაშვილი ალ. 10 მან., ბეჟანოვი ან. 10 მან., ჭავჭავაძე ლ. 5 მან., გედევანიშვილი ალ. 5 მან., რიაზანოვი პ. ეფ. 5 მან., ხე-

რნიაკსკი გ. 3 მან., ლაგაზაშვილი ზ. 3 მან., თამარიძე დ. ს. 3 მან., სამმართველოში გამაჯვნის მოხელეთაგან — 61 მან., 22 კაპ

სკოლის გამგე ტ. კახიძე.

# დეპეშა

5 ივლისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია განკარგულება შესახებ იმისა, რომ დამოჟნაში მიტანილ საქონლის პატრონს დაალალონ ხოლმე სადამოჟნო გარდასახადის შემოტანა და აგრედვე ის წესები, რომლის ძალითაც შეიძლება საქონლის წარდგენა დამოჟნაში გარდასახადის შეტანის თავდებად.

**პარიჟი.** საფრანგეთის მთავრობამ მისწერა თავის წარმომადგენელს ბანგკოკში სიამელებს პროტესტი გამოვუცხადე, რადგანაც საფრანგეთის გემებს ზარბაზნების სროლა დაუწყეს და ამით დაარღვიეს საერთაშორისო უფლებანიო. გაზეთები ამბობენ, სიამს სასტიკად უნდა მოვექცეთო და ამასთანავე რჩევას იძლევიან, ინგლისის წარმომადგენელთ ყურადღებას ნუ მივაქცევთო. დელოკლი ითხოვს, რაც შეიძლება მალე უნდა მოვთხოვოთ პასუხი სიამსაო. ამბობენ, დეველი უპასუხებს: სიამს მოვსთხოვთ, აღიაროს საფრანგეთის უფლება და პასუხი გაგვცესო.

**ვენა.** მუნკაჩიდგან დეპეშით იუწყებიან: პოლკოვნიკის პალიცინის ნეშტი უნტერ-აფიცრებმა კუბოთი მიიტანეს ვაგზალამდე. პროცესიაში იყვნენ აფიცრები იმპერიის ჯარისა, კორპუსის კომანდირი გრაფი იუკსკული და მაიორი ლეიტონი; ელოდნენ რუსეთის სამღვდელოებას, მაგრამ არ მოვიდა და ამიტომ პანაშვიდი არ იქმნა გარდახდილი. შუადღის შემდეგ გაიმართა სადილი; გრაფმა იუკსკულმა დალია სადღეგრძელო რუსეთის იმპერატორისა და ჯარისა. რუსეთის სამხედრო აგენტმა პოლკოვნიკმა ვორონინმა —სადღეგრძელო იმპერატორის ფრანც-იოსებისა, იმპერიის ჯარისა და ვენგრიის ლანდვერისა. შემდეგ პოლკოვნიკმა სთქვა: დღევანდელი დღე ბედნიერია ჩემთვის, რადგანაც დღეს ვნახე, როგორი პატივი სცა იმპერიის ჯარმა და ვენგრიის ლანდვერმა განსვენებულს ჩემს მეგობარს. შემდეგ ვორონინმა დალია სადღეგრძელო გენერალ იუკსკულისა და მუნკაჩის გარნიზონისა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,54 | 7,57 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 151³/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 226 |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | — „ | 194³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — „ | 101¹/₄ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — „ | 101¹/₄ | — „ |
| 5°/₀. . . . . . | — „ | 100¹/₄ | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98³/₄ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

**ა—ს. ი. ა—ლს.** არ გვახსოვს, რომ ყოფილიყოს სადმე დაბეჭდილი ის, რასაც თქვენ იწერებით. ყოველ შემთხვევაში, სიამოვნებით მივიღებთ თქვენს გამოგზავნილს წერილს.

**ბ. ხ—სი.** დიდის ყურადღებით გადავათვალიერეთ თქვენ-მიერ გამოგზავნილი ლექსები, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთის დაბეჭდვა არ შეგვიძლიან.

**მ. პ. ქ—ლს.** მეფე ერეკლეს მიერ დაარსებულ მორიგის ჯარის წესი დაბეჭდილი იყო „კრებულში“. მაგრამ შესაძლებელია რაიმე განსხვავება აღმოჩნდეს თქვენს ხელნაწერსა და იმ დაბეჭდილ ტექსტს შორის ყოველ-შემთხვევაში, სასურველია, რომ ეგ რვეული ხელ-ნაწერი „წერა-კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკას გადაეცეს დ საცველად.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი


### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევივ 2 საათამდე. (150—73)



„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II, III და IV ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1896 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |



### გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო საკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი საკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



## ნავოსნობა,

ვაჭრობა და სამთო მრეწველობა ივანე სიმონის ძის

## კოშკინისა.

**ბათუმის განყოფილება** ფირმის საპატიო მოქალაქის, ქ. როსტოვის (დონისა) 1 გილდის ვაჭარის **ს. ს. კოშკინისა** აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1893 წლის 1 აპრილიდგან ქალაქ ბათუმში დაარსდა განყოფილება ამ ფირმისა ყველა საქმეთათვის.

ნავოსნობა. მიიღება საქონელი ბათუმიდგან გასაგზავნად ოდესასა, ნიკოლაევსა, კერჩსა, როსტოვსა (დონზედ) და ამ ქალაქებიდგან ბათუმში.

სამთო მრეწველობა. დაარსდა საწყობი საუკეთესო თვისების ანტრაციტისა გრუშევსკის მადნებისა.

ვაჭრობა. ფირმის მაღაზიაში ისყიდება ნარდად და ცალ-ცალკე შემდეგი საქონელი:

I მასალა შენობისათვის: რკინა, ფოლადი, სხვა-და-სხვა ხარისხისა და სიდიდისა, სპილენძი, კალა, ტყვია, თუთია (ცინკი), ფანჯრებისა და კარებებისა კლიტე-გასაღებები და რაზები, ღუმელები, კარებები და სხვ., ცეცხლისაგან უშიშარი აგური და თუთია სხვა-და-სხვა ხარისხისა, საღებავი წამლები მშრალი და გაკეთებული, ლურსმები მავთულისა.

II ოჯახებისთვის: სამოვარები, ჩაინიკები, დანა-ჩანგალი და სხვა საგნები სპილენძისა, თუჯისა, რკინისა და ფოლადისა, ემალიანი ჭურჭელი, ზანდუკები ხისსა და რკინისა, კასსები, საწერი ქაღალდი ფოსტისა და შესახვევი და კანცელარიებისთვის საჭირო ნივთები.

III საგნები სამეხანიკო სახელოსნოებისთვის: ყოველ გვარი იარაღი დურგლებისა, ხარატებისა და ჩილინგრებისა, ვინტები, გაიკები, ბოლტები, გრდემლები, ფუქსები მჭედლებისათვის და სხვ.

IV საგნები გემებისთვისა და სამთო მუშაობისთვის: თოკები კანაფისა და მავთულისა, ნიჩბები, ღუზა, ჯაჭვები, ლამფები, საწონები და სხვ.

V მეურნეობისთვის: გუთნები, სანიავებლები, სალეწები, ცელები, დუქარდები და სხვ.

ყოველ გვარი საქონელი ნაყიდია პირდაპირ ქარხნებიდგან და ამიტომ ფასები ძლიერ იაფია.

— ვინც საქონელს დააბარებს დაუყონებლივ გამოეგზავნება —

ფირმა დიდი ხანია რაც არსებობს (1817 წლიდგან) და ამ დროს განმავლობაში არა ერთხელ დამტკიცდა, როგორ მტკიცედ ასრულებს თავის მოვალეობას და კეთილ სინდისიერად ვაჭრობს, რითაც დაიმსახურა სამაგალითო ნდობა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა და კერძო კაცებისა, რომელთაც-კი საქმე ჰქონიათ ამ ფირმასთან.

სავაჭრო კანტორა იმყოფება ვიტუშინსკის სახლში, დონდუკოვ-კორსაკოვისა და სკობელევის ქუჩების ქიმში.

**ადრესი:** წერილებისთვის—Батумъ, Ивану Семеновичу Кошкину.

დეპეშებისათვის—Батумъ, Кошкину.

უმთავრესი კანტორა როსტოვშია (დონისა). განყოფილებანი და საგენტოები ოდესასა, ნიკოლაევსა, სევასტოპოლსა, კერჩსა, ტაგანროგსა, პიატიგორსკსა და ეკატერინოდარში.

საკუთარი მადნები იმყოფება გრუშოვსკში, დონის ოლქში.